



გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1339

უშიშროების საბჭო,

იმოწმებს რა თავის ყველა შესაბამის რეზოლუციას, კერძოდ, 2000 წლის 28 ივლისის 1311 (2000) რეზოლუციას, და თავისი თავმჯდომარის 2000 წლის 14 ნოემბრის განცხადებას (S/PRST/32), განიხილა რა გენერალური მდივნის 2001 წლის 18 იანვრის მოხსენება (S/2001/59), იმოწმებს რა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ლისაბონისა (S/1997/57 დანართი) და სტამბოლის უმაღლესი დონის შეხვედრების დასკვნებს, რომლებიც ეხება ვითარებას აფხაზეთში, საქართველო, ხაზს უსვამს რა, რომ დაუშვებელია პროგრესის არარსებობა აფხაზეთის, საქართველო, კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების საკვანძო საკითხებში, ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს რა იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში საერთო სიტუაცია კვლავაც არასტაბილურია, თუმცა ამჟამად შედარებით მშვიდია, აღნიშნავს, რომ 2001 წლის 23 იანვარს გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მეთორმეტე სესია, იმოწმებს რა გაერთიანებული ერების პერსონალის და მასთან დაკავშირებული პერსონალის უსაფრთხოების შესახებ 1994 წლის 9 დეკემბრის კონვენციაში ჩამოყალიბებულ შესაბამის პრინციპებს, მიესალმება მნიშვნელოვან წვლილს, რომელიც საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისიას და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის კოლექტიურ სამშვიდობო ძალებს (დსთ-ის სამშვიდობო ძალებს) კვლავაც შეაქვთ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის სტაბილიზაციის საქმეში, აღნიშნავს, რომ საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა მისიასა და თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებს კვლავაც მჭიდრო სამუშაო ურთიერთობა აქვთ, და ხაზს უსვამს რა თავთავისი მანდატების შესრულებაში მათ შორის მჭიდრო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას,

1. მიესალმება გენერალური მდივნის 2001 წლის 18 იანვრის მოხსენებას;

2. მტკიცედ უჭერს მხარს განუხრელ ძალისხმევას, რომელსაც გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ეწევიან რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფისა და ეუთოს დახმარებით იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სიტუაციას სტაბილიზაციასა და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტას;

3. მტკიცედ უჭერს მხარს, კერძოდ, სპეციალური წარმომადგენლის განზრახვას უახლოეს მომავალში წარმოადგინოს დოკუმენტის პროექტი, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება მხარეებისათვის კონკრეტული წინადადებანი თბილისსა და სოხუმს შორის

უფლებამოსილებათა განაწილების საკითხებზე, რაც საფუძვლად დაედება სუბსტანციური მოლაპარაკების გამართვას;

4. ხაზს უსვამს იმის აუცილებლობას, რომ დაჩქარდეს გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებისა და ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებების შესახებ ოქმისა და მშვიდობისა და შეიარაღებული შეტაკებების თავიდან აცილებისა და განუახლებლობის გარანტიების შესახებ შეთანხმების პროექტებზე მუშაობა;

5. მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ, აფხაზურ მხარეს, დაუყოვნებლივ განახორციელოს ძალისხმევა ჩიხიდან გამოსვლისათვის, დაიწყოს მოლაპარაკება კონფლიქტის საკვანძო პოლიტიკურ საკითხებზე და ყველა სხვა გადაუწყვეტელ საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში;

6. მიესალმება უკრაინის მთავრობის მზადყოფნას გაიმართოს მესამე შეხვედრა ნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ, მიესალმება აგრეთვე კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარის ვალდებულებას შეხვედრებ ერთმანეთს 2001 წლის მარტში იალტაში და აღნიშნავს, რომ შეხვედრის წარმატება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სამშვიდობო პროცესში;

7. კვლავაც ადასტურებს, რომ დაუშვებელია კონფლიქტის შედეგად დემოგრაფიული ცვლილებები და კვლავაც ადასტურებს აგრეთვე კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის განუყოფელ უფლებას დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს უსაფრთხოების და ღირსების პატივისცემის პირობებში საერთაშორისო სამართლისა და 1994 წლის 4 აპრილის (S/1994/397, დანართი II) ოთხმხრივი შეთანხმების დებულებების შესაბამისად;

8. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს ამასთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ და ერთად შეუდგნენ, და ამით გადადგან პირველი ნაბიჯი, გალის რაიონში დამოუკიდებლად დაბრუნებულ პირთა გაურკვეველი და არასაიმედო მდგომარეობის საკითხის გადაწყვეტას, რომელიც კვლავაც სერიოზულ შეშფოთებას იწვევს;

9. გამოხატავს კმაყოფილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გალის რაიონში მდგომარეობის შეფასებისათვის ერთობლივი მისიის განხორციელების გამო და იმედოვნებს, რომ ყურადღებით განიხილავენ ამ მისიის რეკომენდაციებს ადამიანის უფლებების სამართალდამცავი მოღვაწეობისა და განათლების თაობაზე;

10. გმობს ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის (S/1994/583, დანართი I) შეთანხმების ყოველგვარ დარღვევას და განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავს, რომ 2000 წლის ნოემბერში აფხაზეთში გაიმართა სამხედრო წვრთნა;

11. გამოხატავს წუხილს იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში იმატა დამნაშავეობამ და გააქტიურდა შეიარაღებული ჯგუფების მოქმედება, რაც საერთო ვითარებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარი მადესტაბილიზებელი ფაქტორია, მოუწოდებს მხარეებს გაააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა მათ ასალაგმავად და კეთილსინდისიერად ითანამშრომლონ, ამასთან გამოიყენონ საკოორდინაციო საბჭოს მექანიზმით მიცემული შესაძლებლობანი; გმობს მშვიდობიან მცხოვრებას და აფხაზ მილიციელთა ამასწინანდელ მკვლელობას და ორივე მხარეს, კერძოდ, ქართულ მხარეს, მო-უწოდებს გამოიძიოს ეს ინციდენტები და პასუხი აგებინოს დამნაშავეებს;

12. გმობს 2000 წლის 10 დეკემბერს საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის ორი სამხედრო მეთვალყურის გატაცებას, აღნიშნავს, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს აკისრიათ მთავარი პასუხისმგებლობა საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის, თანამეგობრობის სამშვიდობო ძალებისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის უსაფრთხოებისათვის, და მოუწოდებს მათ სასამართლოს გადასცენ ის პირები, რომლებსაც ბრალად ედებათ მძევლების აყვანა 1999 წლის ოქტომბერში, 2000 წლის ივნისსა და 2000 წლის დეკემბერში;

13. მოუწოდებს მხარეებს უზრუნველყონ გაეროს პერსონალისა და სხვა საერთაშორისო პერსონალის გადაადგილების უსაფრთხოება და თავისუფლება;

14. მიესალმება იმ გარემოებას, რომ საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას ნიადაგ ყურადღების ცენტრში აქვს მისიის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხი, რათა მიაღწიოს თავისი პერსონალის უსაფრთხოების რაც შეიძლება მაღალ დონეს;

15. ადგენს გაუგრძელდეს მანდატი საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიას შემდგომი პერიოდით, რომლის ვადა 2001 წლის 31 ივლისს იწურება, იმ პირობით, თუ საბჭო დაუბრუნდება საქართველოში გაეროს მეთვალყურეთა მისიის მანდატის განხილვას, თუ რაიმე ცვლილება მოხდება თანამეგობრობის სამშვიდობო ძალების მანდატში და გამოხატავს თავის განზრახვას, გულდასმით მიმოიხილოს ოპერაცია მიმდინარე სამანდატო პერიოდის დასასრულს იმ ნაბიჯების გათვალისწინებით, რომლებსაც მხარეები გადადგამენ ყოვლისმომცველი მოწესრიგების მიღწევის მიზნით;

16. სთხოვს გენერალურ მდივანს რეგულარულად აცნობოს საბჭოს ინფორმაცია და ამ რეზოლუციის მიღების დღიდან სამ თვეში წარმოადგინოს მოხსენება აფხაზეთში, საქართველო, ვითარების შესახებ, და სთხოვს აგრეთვე გენერალურ მდივანს მოაწყოს, არა უგვიანეს სამი თვისა, ბრიფინგი პოლიტიკურ მოწესრიგებაში, მათ შორის იმ მოხსენების პროექტის შემუშავებაში მიღწეული პროგრესის შესახებ, რომლის წარდგენასაც მისი სპეციალური წარმომადგენელი აპირებს მხარეებისათვის, როგორც ეს ნათქვამია ზემოთ მოყვანილ მე-3 პუნქტში;

17. ადგენს აქტიურად გააგრძელოს მუშაობა ამ საკითხზე.